სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 ივნისი, 2024 წელი

ბრძანება № 01-02/95

ბსუ-ს პროფესიული **გადამზადების** პროგრამაზე **,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა"**
მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული **გადამზადების პროგრამის "მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა"** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 20 ივლისის N01-02/181 ბრძანების, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ" პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 18 ნოემბრის MES 3220001475430 **გადაწყვეტილების,** სსიპ - **დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და ბსუ-ს შორის** გაფორმებული მომსახურების (პროფესიული მომზადების-გადამზადების კურსი) **შესყიდვის შესახებ 2024 წლის 18 ივნისის N0508/02 ხელშეკრულების** და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 19 ივნისის N698681 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" გამოცხადდეს მსმენელთა მიღება** (ჯგუფში მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 15 მსმენელი), სწავლის დაწყება - **2024 წლის 15 ივლისი)**, წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის **მსურველთა რეგისტრაცია** განხორციელდეს 2024 წლის 20 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), რისთვისაც დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ სსიპ - **დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს აჭარის ა.რ. რეგიონალურ წარმომადგენლობაში** (შემდეგ მისამართზე - ქ. ბათუმი, ძმები ნობელების ქ. N27; რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხზე კონსულტაციისათვის დაინტერესებულმა პირებმა დაუკავშირდნენ ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ცხელი ხაზი: 577-49-19-39):

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

ბ) ფოტოსურათი (3X4);

გ) პროფესიული გადამზადების პროგრამით - ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" განსაზღვრული წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად

<u>დამოწმებული ასლი</u> (ბსუ-ს კურსდამთავრებულის შემთხვევაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ბსუ-ს გერბიანი ბეჭდით დამოწმებული);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);

3. დადგენილ ვადებში სსიპ - **დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში** დარეგისტრირებულ **მსურველთა** ელექტრონული რეგისტრაცია **მისამართზე** - **<u>http://vet.emis.ge</u> განხორციელდეს 2024 წლის 27 ივნისს,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ.

4. განისაზღვროს დადგენილ ვადაში დარეგისტრირებულ **აპლიკანტთა შეფასების** (გასაუბრების და გამოცდის (ტესტირება)) **ადგილი და თარიღი,** წინამდებარე ბრძანების **№2 დანართის** შესაბამისად.

5. ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" აპლიკანტთა შეფასებისა (გასაუბრება და ტესტირება) და შეფასების პროცესის ადმინისტრირების მიზნით **შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:**

ა) **მადონა მიქელაძე** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **მამუკა თურმანიძე** - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა მაგისტრი მცენარეთა დაცვაში, აგრონომი, მცენარეთა დამცველი; The USAID Agriculture Program/CNFA-Georgia ექსპერტი/კონსულტანტი სასათბურე მეურნეობების განვითარების მიმართულებით, ბსუ-ს აგროსკოლის დირექტორი, პროფესიული განათლების მასწავლებელი; პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" განმახორციელებელი პირი; პროგრამის განმახორციელებელი პირი, დამსაქმებელი;

გ) **გიორგი მახარაძე** - ბსუ-ს აგრარული ექსტენციის ხელმძღვანელი; პროფესიული განათლების მასწავლებელი; პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" განმახორციელებელი პირი;

დ) **ჯიმშერ დიასამიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი, პროფესიული განათლების მასწავლებელი; პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" განმახორციელებელი პირი, დამსაქმებელი;

ე) **მამუკა გოგელია** - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

6. ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირმა** ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, მე-3 სართული, ოთახი N303) <u>2024 წლის 08 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა) უნდა წარმოადგინოს მატერიალური სახით შემდეგი</u> **<u>დოკუმენტები:</u>**

ა) განცხადება ბსუ-ს რექტორის სახელზე, პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

გ) ფოტოსურათი (3X4);

დ) პროფესიული გადამზადების პროგრამით - ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" განსაზღვრული <u>წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი</u> (ბსუ-ს კურსდამთავრებულის შემთხვევაში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, ბსუ-ს გერბიანი ბეჭდით დამოწმებული);

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);

ვ) ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ (გაფორმდება ცენტრში, აპლიკანტის მიერ ზემოაღნიშნული პირადი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ).

7. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე **„მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“** მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაციის განთავსება, ასევე მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაციის პროცესში მათი მხარდაჭერა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

8. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები'' და ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'', ასევე ,,რექტორის ბრძანებები“) და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

9. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 19 ივნისი **N**01-02/95 **ბრძანების**

დანართი N1

2024 წლის ივნისში გამოცხადდა მიღება

,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“

პროგრამის კოდი	პროფესიული გადამზადების **პროგრამის** **დასახელება**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**სწავლების ხანგრძლივობა (კვირეებში)**	**სწავლების ხანგრძლივობა (საათებში)**	**მისაღები მსმენელების რაოდენობა**	**სასწავლო პროცესის ვადები** -
01495	**მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა**	მე-4 დონე	10 სასწავლო კვირა	**142 სთ** (კვირაში 15 სთ)	15 (1 ჯგუფი - მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 15 მსმენელი)	**15.07.2024 – 22.09.2024**

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 20 ივლისის N01-02/181 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“

დაშვების წინაპირობები: განათლება: სრული ზოგადი; **ასაკი:** არანაკლებ 18 წელი;

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გამოცდა (ტესტირება) და გასაუბრება (ონლაინ)

<u>აპლიკანტი/</u>პროგრამის გავლის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წელი; მემცენარეობის დარგში დასაქმებული ფერმერი და/ან აგრონომი და/ან აგრომეწარმე და/ან აგრობიზნესის წარმომადგენელი და/ან აგრარული მიმართულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

პროგრამის მიზნები:

პროფესიული გადამზადების პროგრამის **„მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“** განხორციელების მიზანია მცენარეთა დაცვის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, რომელიც აცნობიერებს მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო, ეროვნული კანონმდებლობის და რეგლამენტების მოთხოვნებს, შეუძლია მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა - გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით, უზრუნველყოფს ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელებას აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო - სამეურნეო კულტურებისთვის, კერძოდ - სუბტროპიკული, კენკროვანი, კაკლოვანი კულტურები, ასევე ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები და ვაზი.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. მცენარეთა მავნე ორგანიზმების ჯგუფების იდენტიფიცირება;
2. მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა და გამოყენება;
3. აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო - სამეურნეო კულტურებისთვის მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელება (სუბტროპიკული, კენკროვანი, კაკლოვანი კულტურები, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები, ვაზი);
4. მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო, ეროვნული კანონმდებლობისა და რეგლამენტების მიმოხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

გადამზადების პროგრამის მსმენელი შეიძლება იყოს არანაკლებ 18 წლის ასაკის სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს პრაქტიკული გამოცდილება აგრარული მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება (არანაკლებ 1 წელი), კერძოდ - მემცენარეობის დარგში დასაქმებული ფერმერი და/ან აგრონომი და/ან აგრომეწარმე და/ან აგრობიზნესის წარმომადგენელი და/ან აგრარული მიმართულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. პროგრამა შემუშავებულია **„საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარიული შესაძლებლობების გაძლიერება - SPS Capacity Building in Georgia”** ფარგლებში.

გადამზადების პროგრამა საშუალებას აძლევს მსმენელებს გაეცნონ მცენარეთა დაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობის და რეგლამენტების მოთხოვნებს, შეძლონ მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შერჩევა-გამოყენება უსაფრთხოების წესების დაცვით და უზრუნველყონ ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების განხორციელება აჭარის რეგიონში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის, ისეთი როგორიცაა: **სუბტროპიკული, კენკროვანი, კაკლოვანი კულტურები, ასევე ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები და ვაზი.**

პრაქტიკული სავარჯიშოების ფორმატი უზრუნველყოფს მსმენელთა გუნდში მუშაობისთვის საჭირო და საკუთარ საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღების უნარების გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესი წარიმართება მაღალკვალიფიცირებული პერსონალის ჩართულობით ბსუ-ს თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებში და რეალურ გარემოში - **ა(ა)იპ აგროსერვისცენტრი"-ს** ბაზაზე. **პროგრამის** ხანგრძლიობა შეადგენს **10 კვირას,** სულ **142 საათი (I-IX კვირაში 15-15 საათი, ხოლო X კვირას - 7 საათი; კვირაში 2-3 დღე დამსაქმებელთან შეთანხმებით).**

სწავლების დროს ფართოდ იქნება გამოყენებული პრეზენტაციები, ვიდეო ჩვენება, სასწავლო მასალების დემონსტრირება, შესაძლებელია გარკვეული თეორიული საკითხების დისტანციური სწავლება. მსმენელის შეფასება ითვალისწინებს: 1) განმავითარებელ შეფასებას - ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით და ტარდება სწავლების პარალელურად; 2) განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება მე-10 კვირაში. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, მაქსიმუმ ერთხელ.

პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ხელს შეუწყობს, რომ კურსდამთავრებულები დასაქმედნენ შესაბამისი პროფილის მეურნეობებში ან წამოიწყოს საკუთარი საქმიანობა.

პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული **სერტიფიკატი** და <u>შესაბამისი</u> <u>დანართით.</u>

„ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის

2024 წლის 19 ივნისი N 01-02/95 ბრძანების

დანართი N2

2024 წლის ივნისში გამოცხადდა მიღება

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“

დადგენილ ვადაში დარეგისტრირებულ **აპლიკანტთა შეფასების** (გასაუბრების და გამოცდის (ტესტირება)) **ადგილი და თარიღი**

პროგრამის კოდი	პროფესიული გადამზადების **პროგრამის** **დასახელება**	**აპლიკანტის** **შეფასების** **ფორმატი**	**შეფასების თარიღი** **და დრო**	**შეფასების ადგილი**	**შეფასების კრიტერიუმები**	
					მაქსიმალური ქულა	**მინიმალური კომპეტენციის ზღვარი**
01495	მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა	გამოცდა	**01.07.2024** **10:00 სთ**	ქ. ბათუმი, ბსუ-ს VI კორპუსი, ლეონიძის ქ N15; აუდიტორია N204; 205; მე-2 სართული);	20	16
		გასაუბრება	**03.07.2024** **11:00 სთ-დან**	ქ. ბათუმი, ბსუ-ს VI კორპუსი, ლეონიძის ქ N15; აუდიტორია N204; 205; მე-2 სართული);	100	51